იმ ვიჯიანს სიბითი ნაქეცმა შიის ღღეში „არწეს“-ის, სიჯიო აწიწეში საწმობლო ნაქეცისმეტი, სიბარის კარხან მუჯარ იკონის სიციბელის ნაქეცარად ვეჯე-ბიდა, საჯიარ ღღეში საწმობლოს ექვედრებოდა და სიციბის მარადიულობის აწეგნა გამოიქეცა.

წმობღღეგა სიტყვა იკონის ვეღელე მუჯარის და მისი იარაღი იგი ვეღლი მძობიდა, აწეგნავდა, როცა მისი ციბრეგანს დღე დათავებულ იგი და მძობიდა თოქის დასრულებული, იკონი ვატარებდა არ სიჯიარა და სიციბელს წმობღღეგა ქართული სიტყვით იბან-გახლებდა და მართლაც სიტყვით ვახარებდა მან სიტ-ღელე და შიილიდა დღედავება.

იკონი გუგუბნეული ქართულ მწერალთა და სიბი-ჯიო მიღებეთი იმ შესაწიწეხე პღედას ვეჯიანის,

ვისი ეჩის ტერი და ვიჯიანს უთილიყო, სიჯიო-ბი-ღელი ვეჯა — შიის აწიწე, იკონი ვახუთისა და აწიწე-ღელის, მიხეცმა თათბის მამისა და მიჯიარებლის, ბა-ჯეცი ვესილბეღლისა და სიღის მძობიდა, მიხეცმა თათ-ბისა და წიი მხედ ვაწეგნა.

და იკონმა ეს ეწმობის, ვეღლი ქვეშეწმობილად ზიდა საჩეკარ სიციბელს ვეღლი მან მართლაც, ვეღლი-კოლცო ჩომღელი, ვიჯიანს ვეღელე, ვეჯე-განა და წიი მხედ ვაწეგნა.

იკონი ბაქშეებისათვის იგი დაბეჭდული, მიჯიარე ბაქშე არ იგი მძობიდა ვეღლი, არ იგი მძობიდა სიბი-რეღს წაყარ და დაწმობეს მისზე, არ იგი მძობი-ღელე მიხეცის იმეტი, იკონი ვიჯიანს ვეღლისათვის ბე-ჯეცი იგი ვეღლიდა, — სიციბელი მართ, ციბრე-განს მიხანი და ასიკონის გამართლებს იგი თათბი დიდი ვიჯიანისა და ექვედრებს ვეღლი, მძობი თათბი ასი-გნით ექვედრება ბაქშეის ციბრეგანს ბაქშეებისათვის.

საწმობეღლიმ არ ეყობი დამათს არ ვეღლები მძობი-ღა იმის ნაქეცარაც, ეს ბაქშეებისათვის, ჩეკ ვაჯიანთ იკონი ვიჯიანსაგან, არც მამის და არც მუჯედს ვეჯე-ცი იმ ატარის აწიწე მძობიდა, ბაქშე ვეღლისა და ვი-ჯეგანსად, ჩეკი იკონი იკონი ბაქშე.

იკონი მუჯედის შეღის, მრავალრეცხვანი იქცის სიტყვს, პატარა მიხობის ტოლ-სიჯიარისა ვეღლიდა ამ-სახვისა და ქიმაჯის იმთავითვე ვეღლი ღღეში ვეჯე-ღებოდა ებრედილი აფიონებანსაში პატარსიკეცა და სიჯიარედილი ვეჯიარეგანს მიჯიარეგანში დაბატრის, ექვეგნო იმთავითობისა და მუჯიარობის ძიარეგანი ციბრე-განს, წმობღღეგა სიციბ ვატარის ღღეში არ ციბრეგანს იგი ვატარებულ ქრის, სასყვე მილი პიჯიარე ვიჯიანს იკონი ვიჯიანსაგან, იმ ვატარის, ჩომღელი სიბი ნაქეცისა და დაბეჭდებისა, ვატარის, ვეღლი-ღეღეტი და ქიმაჯიო, იმ აწიწა დიდი იკონის, იმ აწიწა მან შიის სიბი, იყინისა წმობღღეგა სიჯიარა, ამ მწიბე იღედა ვეღლი იმ ჩეკი ვეღლი წმობლის ტეხლი იფინანა და ეს წმობღღეგა სიბი იგი გვა და ხედი სი-ჯიანის შეცნობისაგან, პიჯიარე სიტყვა, რომელიც იმ

იკონი
მრავალრეცხვი
დაბატრის
193
წმობიდა

ბაქშეების ფიფი მეტობაში

ლოკონი აფეგნედი იქცა, თოქლით თეთარ თმა-წიქრით და დიბეღელი სახით. არ წიქრია, არ მოხეცდა. მიხეცს მწიფი ნაწილი ადგა სახეზე. იოთხში ღვთიერი სიძვედრით და ეწევილი სი-სეთითვე სიციბდა. აფეგნედი სიტყვა იყო, მან შილიანდ შეეცხო სწორი თავისი კართი. ვიჯიან ვახუთელი დედა და ციბილიდა. მიხეცო კი საჩუქრისმეტი იქცა. ვეღლითვე აწიწედილი საწმობან ზეღის ამო-ყვარა და ვეღლი მამიდ ვეღლი. სწორილ ვეჯე ფიქრებში ვეჯარა, სწორის თავთან მიხეცოს სწინითი ხალისი იგი სწამებ ვეღლიდა. აფეგნედი თვალში ეწმობს დაბეჭდული ქიმაჯისა, როცა თვალში ვახუთელი, აფეგნედი ხალისს ეყვითლას თათბელს მიხეცრეგანთა.

ჩომღის პიჯიარე გვერდზე მოთავსებული იგი შიის ღღეში „არწეს“, და აღმებრუნედი წიქრითა:

„არ წეგუბნედი, არწიფო, ჩა დროს სიციბელს ვატარა შენს კარხან ჩაბღღედილი მართ ჩაბღღედი დედაწეგნა. მართა შენს დიდი ვეღს და თვარს ვეჯიარე ჩომ მუჯედებთან, ვატარებულა, წიქრია.“

ჩეკი იკონი მუჯედის ვეჯარა... (იხ. დავით კი-ხაძის „იკონი ვიჯიანსაგან“, მოგრაფია, გვ. 103).


— როდესაც იმ ღღეში კითხვობდა, ძია იკონის თვალში ვატარებულა, საწმობეღლი იღებებოდა. არ დავითაც ადგა, მართა ძიის ჩომი ეწმობა ასე მალე ვეჯედის შიის ვეღლის მძობელს აფეგნედი ვეღლი

ჩომღელსე საწმობან ვეღლები ვახუ-თისა სიბილ-სიციბელს, მან მანხედ დასიბისა. წმობღღეგა სიბი-რეღს სასწავლის, მძობიდა სიციბელი უსამართლობის წინააღმდეგ და ციბრეგანს ჩეკიარს მოსიბიანსაგან, მან დროსზე მწიფი სიბილი, სიცი-ბი და საწმობიანობა. მათი ექვე-ღელის იფილი იგი საწმობელი და ეტი.

იმ პღედას თოქლითვე წეჯარა ვეღლითვე დავით დავით თავის სიბილს, თე ღღეში მუჯედის იბრუნე-ბისა.

სიბი სიბილი ვახუთის, სიცი-ბი ვახუთის იკონი ვეჯიანსაგან





ბავშვის სმენას ჩასწვდა დედის ბავთვადან, იყო ქართული სიტყვა, და ის სიტყვა იყო პირველი თვალმარაგალიტი „დღეღამის“ საგანძურში.

გარანაში უსმენდა პატარა იაკობ ქარის ზუზუნს, ითვლიდა ცაში ვარსკვლავებს, ყურს მიუგდებდა დამიით სახლის სახურავზე წვეთის წყარუნს... ის ცა და ის მიწა ავსებდა ბავშვს ინტერესით — შეეცნო თვალბილული; ის ცა და ის მიწა იყო ბუნების საიდუმლო წყენს, რომლის წყაობისაგან უნდა დასწავებოდა პატარას გონება და პატარას გული. და იქ გაითვალა ამ წყენის პირველი ფურცელი. ეს იყო იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ პირველი ფურცელიც; იქ შეიღო ბუნების კარი...

მშობლიური ენა, სამშობლოს მიწა-წყალი, ხალხის გულისთქმა და ნაზრები იყო ის ნოყიერი ნიადაგი, რომელზეც აღმოცენდა იაკობ გოგებაშვილის დიდი შემოქმედება.

იაკობ და დედაენა, იაკობ და მშობლიური ბუნება ერთი მთლიანია, განუყოფელია.

იაკობ გოგებაშვილისათვის ენა იყო არა მხოლოდ სურათების საშუალება. ენა მას მიაჩნდა ხალხის ურთიერთობის საშუალებად, ერეგული თვითყოფების საფუძვლად. იაკობს ღრმად სწამდა, რომ ეროვნული ენის გარეშე ადამიანი მოკლებულია ეროვნულ ნიადაგს. დედაენასთან ერთად ადამიანი იწოვს და ითვისებს, როგორც მიწიდან მცენარე, ყველფერს. რაც სპირიტა მისი სიცოცხლისა და ცხოველყოფილობისათვის.

დედაენით ხდება ადამიანი თავისი ხალხის ნაწილი, მისი გულისფთქებისა და ნაზრების თანხაირი. დედაენა ის ქალთქარია, რომელიც ადამიანს მტკიცედ აყენებს მყარ ნიადაგზე, ხელს უწყობს მთლიანი ბუნების, მტკიცე და ძლიერი პიროვნების ჩამოყალიბებას. დედაენაზე ადამიანს უადვილდება აზროვნება, ფიქრი და

გიგია კვარცხელია

წარმოვრეშაინ

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და სახვავო მწერალი იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი არა მარტო საზოგადოებრივ და საწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე, არამედ პირად ცხოვრებაშიც სიფაქირობით, პატივისცემითა და მისხაპი თავმდაბლობით ხასიათდებოდა.

ქვემოთ მოყვანილი ეპიზოდები ნათლად მოწმობენ ამას.

1900 წლის 19 აპრილი იყო. იაკობ გოგებაშვილი ჭერ ლოგინიდან არ ამდგარყო, როცა მსახურმა დილით აღერ გახზე, „ივერიის“ ახალი ნომერი მოუტანა. იაკობმა თვალი გადაავლო გახვთს და პირველ გვერდზე ქრონიკის...ახალი ამბები... — წაეკითხა: „როგორც შეეცბეთ, ბნ იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის პატივისცემემით, მისდა პატივსაცემლად, მისის სალიტერატურო და საედაგოგო ასპარეზზედ მოღვაწეობის მწ წლის შესრულების გამო, განუზრახავთ სადღეს გამართონ. სადილის გამართვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული“.

იაკობი აღფრთოვანდა: ეს როგორ, სადაური ამბავა? მე ამახ ახე არ დავტოვებ, ახლად წერილს მივწერ რე-

დაქციას და მოვიხზოვ აუცილებლად დაბეჭდონ ქრონიკის პასუხად.

როგორ?! — ვეღარ ისვენებდა იაკობი, — ქართული ეროვნული ბურჯის, დიდი ილიას იუბილე ჩაშალეს, ქართული პოეზიის იალღუხის (სხე უწოდებდა იაკობი აკაკის) იუბილე ჭერ არ გაუმართავ და ცდილობენ იუბილე მე მომიწყონ!

აი, ეს წერილიც: „როგორც თქვენთ, „ახალი ამბებიდან“ სჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინებია გამომართვის საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვასხენებ, და ვიხვებ დიდი თხოვნით, ხელი აღღონ ამ თავისს სადილზე. უჩხამდღვ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაიღვოს. ჭერ ქართველმა საზოგადოებამ გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწვევს კისერზე შესახებ ჩვენის მოავარ მოღვაწეობისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიით და ჩემზე უფროდ მეტი გაუკეთებიათ. ჭერ იალღუხსა და მყინვარის ღირსეული იუბილეები გაუმართონ, და მერე გაუწიონ თავზიანობა სერებისაც, თუ არ დაუშლიათ“.

იაკობმა წერილი სასწრაფოდ გახვით, „ივერიის“ რედაქციამ გაგზავნა. გახვთმა წერილი გამოაქვეყნა 21

აპრილის ნომერში. როდესაც ავტორმა თავისი წერილი წაიკითხა, კმაყოფილებით ჩაიღიმა.

იაკობ გოგებაშვილი ერთ დღეს ტრამვაით სახლში მიდიოდა. ბილეთის ასაღებად იაკობს ზურდა ლეული არ აღმოაჩნდა, ამიტომ კონდუქტორს ქაღალდის ფული გადააწოდა. როცა კონდუქტორმა ბილეთი და ზურდა ფული უკან დაუბრუნა, იაკობმა დაუთვლად ჩაიღო ჭიხეში. იგი სახლში დაბრუნდა და შემთხვევით ფული გადათვალა. აღმოჩნდა, რომ კონდუქტორმა ბილეთს მისთვის სუთი ნაწილი მეტი გადმოუყვლინა.

მიუხედავად ხანში შესულობისა (იგი ამ დროს 68 წლისა იყო), იაკობ იზივით მეხსიერების პატრონი იყო. მან დაუძახა მსახურს და უთხრა: „ამა, ხე სუთი მანეთი, ჩაირბინე გოლოფინის პრასპექტზე და ამა და ამ ნომერ ტრამვას ვავონის კონდუქტორს გადაეცი და უთხარა: იაკობ გოგებაშვილს დღეს თქვენი ტრამვაით უმგზავრია და, როცა ბილეთი მიგყილიათ, ზურდა ფულზე სუთი მანეთი გადაგიუღვებიათქო“. მსახურმა დაუყოფნებლედ შესასრულა იაკობის სიტყვა.

ერთ დღეს იაკობმა მიიღო ახალი გახვითი „ტალადა“, და რას ხედავს კონდუქტორის ამ გეგვთში იაკობისადმი მადლობის წერილი მოუღაგებინა. აი, ხე წერილიც: „მადლობას ვსწრაფებ ბატონ იაკობ გოგებაშვილს ჩემი გადაყოფილი სუთი მანეთის უკან დაბრუნების გამო. ტრამვას კონდუქტორი მეტიტონ თურჩანძიძე“ (იხ. გაზ. „ტალადა“, 1906 წ. № 34).



ოცნება, ბუნების საიდუმლოებათა შეცნობა და დამორჩილება.

ამიტომ იყო, რომ იაკობ გოგებაშვილის ღვინის სწავლამ, დედანაზე აღზრდა მიაჩნდა აღზრდის საფუძვლად. და ეს მშინ, როცა საქართველოში რუსეთის ციარხების ჩემის ქვეშ ბარბაროსული ძალით იღვწებოდა და სამარტებოდა ქართული ენა.

ბავშვის გინების ვაჟაფხვის, საგნებისა და მოვლენების გაზრებისა და ცოდნის თანდათანობით დაგროვებისათვის იაკობ გოგებაშვილი ღვინის მწარმოებლობის ანუქებდა თვით ბუნების მოვლენებს, ბუნებას. მისთვის ბუნება იყო არა მხოლოდ დაკვირვებისა და შესწავლის, არა მხოლოდ ჩაფიქრებისა და ოცნების საგანი, არა მხოლოდ სულის ტკბობისა და ახალ ხილვათა უშრეტი წყარო, არამედ ამ გზით, და ამასთან ერთად, აღზრდის ძვირფასი იარაღი, უღიღისი და ამოუწურავი საშუალება.

მისი ყვაილში თუ წვიმის შხაპუნში იაკობი ხედავდა არა უბრალოდ ბუნების სასწაულს ყვავილეთის სინაზით და მშვენივრით ღრბად იჭრება ჩვენს არსებობას, გულს სიკეთით გვივსებს, სულს გვილამაზებს, ჩვენსა უნებურად გვიღვივებს ღიჯის და გვისაბუთებს გრძნობას. ეს მთებში და თოვლიანი მწვერვალებში, ეს აქორჩობის ტყეებში და აყვავებული მინდორ-ველები, ეს მოდულენე მდინარეები და მოჩუხჩუხე ნაკადულები ჩვენთან ერთად არიან და ჩვენში ცოცხლობენ.

და მშობლიური ბუნების პეისაჟები ისევე ვერჩება ჩვენ მუხებშია, როგორც ვაჟაფხვი აღმაიანები. მშობლიურ მთა-ბარსა და მინდორ-ველს, მშობლიურ აღვილებს ამოისაკლისებთ ჩვენ და მოვიხატრებთ, როგორც ჩვენს ახლობლებს; მათთან ვაწარმოებ ისევე გვიმიმს და გვედარდება, როგორც ძვირფას აღმაიანებთან. და რაკი ბუნების ასე ღიღი ძალა და გავლენა აქვს

1910 წლის 16 ივნისს რუსულ გაზეთ „ნაკავაჯიში“ გამოქვეყნდა გიორგი ოსტროლიანის შემდეგი შინაარსის წერილი:

„...ქართველებმა იციან დაფასება, მოღვაწეთა, რომლებიც ჩვენ ასე ცოტა გვყავს. არ შეგვიძლია მხოლოდ ჩვენს დაკვირვება არ გამოთქვათ, რომ ჩვენ ამავე დროს ვიციწყებთ იმდენად გამოჩენილ საზოგადო მოღვაწის ღვაწლს, როგორც იაკობ გოგებაშვილმა.

პატრიცეულ იაკობ გოგებაშვილის ღვაწლზე აქ ლაპარაკი არ გვჭირდება. თითქმის 40 წელია, რაც ის დაუღალავად შრომობს ჩვენი ბავშვების აღზრდაზე. ერთადერთი პედაგოგი, რომელმაც მთელი თავისი ძალა და ცოდნა სპეციალურად ქართული სახელმძღვანელოების შედგენას მოახლოდა, ეგ არის. სახელმძღვანელოებში პირველი ადგილი უჭირავთ „ღვინის“ და „ბუნების კარს“, რომლებშიც საშობლოს ენას სწავლობენ ჩვენი ბავშვები სახელმძღვინო და სასწავლებლებშიც.

...ვიცი თა ო. ს. გოგებაშვილის ხასიათი, ვიღაც ვიღვით შეგინონოთ, რომ შეიძლება იმან უარი თქვას ყოველგვარი ღვინისაწავლის გამართვაზე, მაგრამ ეს უფლებას არ აძლევს ქართველ ხალხს თავისი სურვილი მიინც არ გამოთქვას თავისი ერთი საუკეთესო შვილის დაუღალავი და სანარტებლო მოღვაწეობის იუბილი გადახდის შესახებ.

იაკობმა, როგორც კი წაიკითხა წერილი, სასწრაფოდ დაწერა პასუხი „უარის მოხსენებისა“ და „სახალ-

ხო გაზეთის“ რედაქციას გაუგზავნა. აი, ეს წერილი:

„ბატონი გიორგი ოსტროლიანი დასაფიქრებელი საქართველოდან წინადადებას აძლევს ქართველ საზოგადოებას იუბილი გამიშართონ, თანაც დასძინეს: როგორც ჩვენ ვიცით გოგებაშვილის ხასიათი, იგი უარს იტყვის; მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს საზოგადოებას. ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: რომ თვის წლის წინათ იწყეს წერა ჩემის 25 წლის იუბილეს გადახდის თაობაზე, კატეგორიული უარი განვატყვევებ და ასე დავასახუთე: ჭერ ქართულის ლიტერატურის იალბუზებს გაუმართონ ღირსეული იუბილე და მერე სერების იუბილეზე იფიქროთ-მეთქი.

მასუკან ერთს იალბუზს ქართველმა საზოგადოებამ დიდებულ იუბილეს გაუმართა; მაგრამ მთორე იალბუზს ქართველთა ხელმა დღვთებრივი შუბლი გაუგზავრა ტყეით. ჩაუყვირდით ამ უკანასკნელს საზარდლს ფაქტსა, გაიხსენეთ ჩემი საშობლო უარის მოტივი, საბუთი და თქვენთვის ცხადი შეიქნება, რომ ჩემთვის ყოველად შეუძლებელია ფსიქიკად და ზნეობრივად დავთანხმდე იუბილეს გამართვაზე...“

იაკობის წერილის სრული ტექსტი „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ დაბეჭდა 1910 წლის 18 ივნისის ნომერში.

ქემშარტად რომ მისხამაი თავმდაბლობა და უბრალოება ამშვენებდა ამ ბუმბუჩარს.

მასხანს სიღაფიანი.

იღამიანზე, ასევე ღიღი როლი ენიჭება მის აღზრდაში. ასეთია იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი, რაც შესანიშნავად გამოიხატა კლასიკურ სახელმძღვანელოებში, მის შემოქმედებაში.

ქართველ ერს იაკობ გოგებაშვილმა ღიღი ღვაწლი დასთმ მხატვრული სიტყვით. ის არა მარტო რეკო-



ლუციურ - დემოკრატიული იდეებით შთაგონებული პედაგოგიკის ფუნქციონირება და კლასიკოსთა, ქართული საბავშვო მწერლობის სწორუპოვარი ბუროთმოდგარი და მამამთავარიც არის.

მრავალ საუკუნოვანი ქართული ლიტერატურა იაკობ

გოგებაშვილმა გაამდიდრა საბავშვო პრეზის და სხვა მხატვრული მასალის კლასიკური ნიმუშებით. იაკობი კლასი გვეთვისს ორასამდე საბავშვო მოთხრობა და მხატვრული მასალა და როგორც თავის პედაგოგიურ თხზულებებს, ასევე მხატვრულ სიტყვებს იაკობი ერთ არსებით ამოცანას უსახავდა — მოზარდი თაობის აღზრდის სამსახურში ყოფნას.

იაკობი ისევე დიდი მწერალია, როგორც დიდი პედაგოგი. მის საბავშვო მოთხრობებში დიდი აღმზრდელის გულისტფითა და ქეშმარიტი მხატვრის ადლთით, ღრმად მოაზროვნე პედაგოგის გონებით შესანიშნავად არის გათვალისწინებული ბავშვის ბუნება, მისი გულსმძვინვარე და მისწრაფებანი; ჯერ გაუწვრთნელი გონების შესაძლებლობანი.

ამიტომ არის, რომ პატარა მკითხველი მოწყურებულნი იწვებათა თითოეული სიტყვა მოზარდის ფაქტ გულში და გონებაში სიტყვებს ღრმად ნაკვეთებს.

შედეგად და მწერლობა იაკობის ხელში იყო ორღესული მხატვლი, რომელიც ერთ მიზანს ემსახურებოდა და რომლის ორივე პირი თანხარად ბასრი იყო.

მაგრამ მისი მოთხრობები თავისუფალია მშრალი და აბზნარი დიდებუქისაგან. მწერალი არაფერს არ ურჩევს, ქუქს არ არავებს; არაფერს არ იწონებს და არაფერს არ იწუნებს. იგი პატარა მკითხველს მხოლოდ მოუთხრობს, ჰყვება ამბებს, ხატავს მშობლიური ბუნების სურათებს და ვიღამოლ წინგზე ვაჭარებში თავდახარბი ბავშვი თავის უნებურად აკეთებს დასკვნებს, მას უხარია, იგი სწუხს, იგი რაღაცს გოზებს, რაღაცს ბაძებს...

სე ინერგება ბავშვში სიყვარული კეთილისადმი და სიძულვილი ბოროტისადმი. ასე სწავლობს იგი კარგსა და ცუდს ვარჩევას; ასე დღვბა იგი სიზარბილსა და სინდისიერების, კაცთმოყვარეობისა და კეთილგონიერების დიდ და ნათელ გზაზე, ასე ეზიარება მშობისა და მეგობრობის. ერთგულებისა და გამტანობის, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და მისთვის თავდადების შაღალ გრძობების. და მამ, ასე იწორობა, ასე ყალიბდება ქეშმარიტ აღამიანად, დირწერულ მოქალაქედ.

იაკობის მხატვრული სიტყვა, წინადადება სიდა და დახვეწილია, ადვილად მიიკვლევს გზას ბავშვის ბულისა და გონებისაკენ. თავისი დიდი მასწავლებლებისა და მეგობრების ილისა და აკაის მსჯავსად, გოგებაშვილის სამწერლო ენა დაფუძნებულია ხალხური მეტყველების უღიდეს საუნეჯზე.

მწერალი თავის პატარა მკითხველებს ბავშვება დინჯად, დარბაისიურად, სულის მოთქმით, მაგრამ გაუქინაურებლად, მოსსლეტით. მწერალი თვითმხნერად არ მიმართავს სიტყვის მარალს, მოთხრობებში არ არის სიტყვამრავლობა.

მოზარდი თაობისათვის დიდი განძია არა მხოლოდ ლიტერატურული და პედა-

გოგიური მემკვიდრეობა იაკობ გოგებაშვილისა; იგი იყილი დიდი აღმზრდელი, დიდი შემოქმედი და დიდი მოქალაქე უძერიფესისი თვისებებით შემკული აღმამი.

მისი პირადი ცხოვრება ყველა მის თხზულებზე უფრო ღრმად არის და მეტის შემქმელი, სამავალითა ყველასთვის, ნიმუშია ჩვენს წუთისოფელში კაცური ყოფნისა.

იაკობმა არ იცოდა რა არის შერი, ვერავიბა და ორპრობა.

თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებშიც კი იგი სისოწარყვეთილებას არ მისცემია; მეტის წინაზე არა სოღის ვახიარებულა, მუყვარესთან პირწყავად არა დარჩენილა.

ღარიბი მღვდლის შვილია, ცხოვრებისა და სწავლის უმძიმეს პირობებში გამოჩნხა ძალები საყუთარ თავში და გზა გაიკვლია.

სიტყვებით, დაუღალავი მეცადინეობით და პირადი უნარით საფუძვლიანი განათლება მიიღო, საჭირო ცოდნა შეიძინა და ერისა და ხალხის სამსახურში მოწინავე პოზიციები დაიჭირა.

დიდ სიძნელეებს აწყდებოდა იაკობი თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში. მეფის ხელისუფლებას და სასულიერო აღმინისტრაციას არ მოსწონდათ იაკობის მოწინავე პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელიც რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით იყო შთაგონებული; არ მოსწონდათ მისი პრაქტიკული საქმიანობა და ყველაფერის აყვებდნენ მის თავიდან მოსაშორებლად; მისიერული ავანტიები ცოლს სწამებდნენ, აბეზლებდნენ, პირად შეურაცხყოფას აყენებდნენ. ბევრჯერ უნახავთ იაკობი მწარედ დანაღლიანებული და გამწარებული, მაგრამ ხელჩაქნული კი — არასოდეს. ვერავინ და ვერავინმ ვერ აღდგინა მის ხელი საყვარელ საქმეზე. ვერავინარბა ძალამ ვერ ააციდინა იგი დასახულ მიზანს, ვერ გადაახვევიდა არჩეული გზიდან, ვერ დააყარგინა რწმენა საკუთარი თავისა და ხალხის სამსახურის საქმეში გამარჯვებისა. კრებულში „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, იაკობის მოწვეულ და მეგობარი ნიკო ლომოური წერდა:

„ზამთარი იყო. იაკობის სანახავად მივედი მის ბინაზე. გაჩაღებულ ბუხრის წინ იჯდა იაკობი და რაღაც ქალღვლებს სიჩავდა... მზიარულად მომეგება. რამდენსიმე წამის შემდეგ სახლში მოვიდა ნიკოც (ცხველია გ. ვ.) და თან შემოიტანა ჩვეულმებრივი მზიარულება და აღერთოვანება.“

— როგორა ხარ, იაკობ? — კარებდიდანვე შემოსიძახა მეგობარს.

— ოი, ეს წყუტლები მაწუხებენ, — უპასუხა იაკობმა. — მინდა თავიდან მოვიშორო.

სიტყვა თუ არა, მაგალიდამ აკრიფა მთელი ბლუჯა დაწერილი ქალღვლებისა და გაჯავრებით შეწყარა გაძლიერებულ ბუხრში.

— რა იყო, იაკობ? რა ქალღვლები უთავაზე ამ ჩვენს მზიარულ ბუხარსა? — ჰკითხა ღიმილით ნიკო.

— დაწვივი ჩემი გეგმები, რომ უკან დაბრუნება აღარ შემეძლოს, — წარმოსთქვა იაკობმა, — ატრეტატი ხეშინარიისა, მოწმობა აჯაღემიისა, სამსახურის სია და სხვა საბუთის ქალღვლები, ყველანი ცუცხლს მივარდებო მღვწეა. ვითუუ მაგათის წყალობით შემდეგ რადიხში გაშლვიძებოდა სურვილი სამსახურში შევსლისა. ამერიდან



მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმარო...

ლიახ, იაკობმა დასწვა ყველაფერი, რაც მას აკავშირებდა მირმობალო საზოგადოებასთან, რაც მას მოაგონებდა სწავლისა და სამსახურის წყვეტულ წლებს; დასწვა განათლების საბუთები და სხვა ქაღალდები, რომ უკან დასახვევი გზა აღარ ჰქონოდა, ეგლო მხოლოდ წინ — ხალხის სამსახურში.

იაკობი იყო უაღრესად კეთილშობილი და სათნო ადამიანი, თავისუფალი — პატივმოყვარეობისა და ეგოიზმისაგან. იგი არ იყარებდა სხვის უბედურებაზე ავგო თავისი ბედნიერება. იაკობმა არ შეირთო ცოლი, არ შექმნა ოჯახი; მას, ყველა ბავშვის მამასა და აღმზრდელს, მშობლის ნიჭითა და გრძობით უხვად დაჯილდოებულ ადამიანს არ ჰყავდა საკუთარი შვილები. მან უარი თქვა პირად ბედნიერებაზე, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ერისთვის მიეძღვნა.

სკოლა უნდა იყოს სახალხო, ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს, უზრდიდეს ერს ღირსეულ მოქალაქეებს. სკოლა უნდა უწერავდეს მოზარდს კეთილშობილებასა და პუმანიზმს, ერთგულებასა და გამტანობას, გმირობასა და თავდალებას. და სკოლა მაშინ შეძლებს ამას, აღმზრდელი მაშინ მიადრეყვს მიზანს, როცა თვით იქნება ამ მაღალ მოთხოვნათა ღონეზე.

ასეთია იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი, რასაც იგი არა მხოლოდ ქადაგებდა, არამედ პირადი შვალით, თავისი ცხოვრებით ცხადყოფდა.

იგი იყო მღაბიო წრიდან გამოსული, და თავისი ნიჭითა და უნარით ხალხის ცხოვრების მაღალ საფეხურზე ავიდა;

მან გაუძლო ხელისუფლებისა და სამედიკოლების მხრივ მთელი სიცოცხლის მანძილზე დამცირებას, საზიზღარ ცილისწამებასა და ვერაგობას, და მათთან ბრძოლაში გაიმარჯვა;

დაბადებულად ფიზიკურად სუსტმა, სწეულმა სასტიკო რეჟიმი დაუწყეს თავს, ხალხისათვის ესოდენ საჭირო სიცოცხლე არ დასთმო და სამოცდათორმეტი წლის ასაკამდე მოიყარა;

იცხოვრა შეზღუდულად, უაღრესად მომჭირნელ, ხელმოკლედ, მაგრამ ხალხს ღიდი სულიერი განაში დაუტოვა.

და ჩვენ ყველამ, ჩემო ბავშვებო, ისევე უნდა ვისწავლოთ იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების წიგნი, როგორც მისი თხზულებები; ისევე უნდა ვეთაყვანებოდეთ მას, როგორც ამ ღიდი ქართველი მოღვაწის მთელ შემეკვიდრებოას.

გივი ვარდოსანიძე.

ზაზაული
სხალი
ღღა

8976

ფოტობიურო
ბაღდატიანი
მეცნიერისა.



სოფელი

მორჩილი ბელაშვილი

სოფელი იმდენად პატარა იყო რომ მორჩილებულ ცაზე კენჭად გარინდებული ქულა დრუბლის ძირს დაცემული ჩრდილი ქედად მოერგებოდა ხოლო მე და კიდევ ჰყოფნიდა. მოცუპუნული სოფელი კი თავის მხრივ მაინც კიდევ რამდენიმე, რაღა თქმა უნდა, სულაც კიანა უზნებად იყოფოდა, ხოლო მათგან თითოეულს საკუთარი რაიმე ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა მოეპოვებოდა.

სოფლის შუა გული უზნის მთავარ ღირსშესანიშნაობას ანკარა ნაკადული წარმოადგენდა, რომელიც თითო სისხო რუმი ჩატეულიყო და თვალთმაქცურად მოხიბობდა. უზნის ზედ შუა წელზე ნაკადულს პატარა ჩახრიალა გაეკეთებინა და იქვე ვარცხლილისოდნა გუბური გაჩნდა, რომელშიც სირბილისად მუხლდაწყვეტილი კამკამა წყალი სიამოვნებით გარინდულიყო. მთელს მხიარულ ნაკადულს კი, რომლის უეფროესი კადაბოტის შუა წელს თოვზე გამოხვეული კვანძით განმასხვავებლად შესძენოდა გუბური, სწორედ მისივე წყალობით შერქმობდა შუა რუ.

გუბურის ფსკერი ერთნაირად წმინდა მიყვებით ნაირფერი და ბრყვილა კენჭებით იყო მოფენილი, ხოლო მიოლივივე ზედაპირზე ნელა ტოკავდა და ირწყოდა ნაკადულის მიერ გზად ხელს გამოტანებულ ნადავლი — ზოგი რამ ხილი თუ ყვავილი, ფოთოლი თუ ნაფოტი. ცალკე კიდევ იგივე სასაცილო მორევი ფუმფულა იხვის ჭუჭულებებით მწკრივად გაბმულიყვნენ ლამის გასკდომამდე გაფუებული ჯონჯოლის თეთრი ტიკორები. ამას ზედ ახლა ადგილობრივი ნაყოფიც ემატებოდა, რომელიც დროდადრო მაღლა გუბუ-

რის თავზე ერთმანეთში ტოტებგადახლართულ მხცოვან კაკლას და პანტას სკვიოდა და წყალში ტყაპანს ადენდა.

ორივე ხეს შუა რუსთვის დაბურული თალი დაედგა.

უზნის უხუცესი ბებია განაგებდა გუბურს. ბებიას მახლობლად სანმუშოდ მივლილი კოკროქინა ბოსტანი ჰქონდა და უზანი რომ დილით ის-ის იყო იღვიძებდა, იგი უკვე ნაჯაფევი გამოდიოდა რუს პირზე სწორედ გუბურთან და თან პატარა, თეთრი ხახალი გამოქონდა ახალდაკრევილი ხუჭუტა მწვანილითა და ცვრანა კიტრითა თუ პამიდრით თავმოპმული. ბებია ჯერ მწვანილსა და კიტრს თუ პამიდორს საკულდაგულოდ დაახახახებდა და ქაუთათა წინსაფრის კალთაში ჩაილავებდა. მერე თვით გუბურში მოლივლივე ნადავლს — ქლიავსა თუ უნაბს, ლელესა თუ მაცვალს, დაკროლილ კაკლასა და ჩამაგებულ პანტას დაუყრიდა თავს და თავისივე გაცლილ ხახალზე, რომელსაც წინასწარ კაკლისა და ვა-

ზის ფოთოლს ჩაუგებდა, თვალმანარედ მოათავსებდა, მკვარად სძვეხილით თავმოპმულ ხახალს, მივლ უზანში განთქმულ, თავისეულ ქარვა გულბასაც მიუმატებდა, ხახალს ირგვლივ ყვავილების არშისა შემოკლებდა და გუბურში ნაყოფით შეაკურებდა. მთელი ამ ნადავლიან ბებია თავის წილად გუბურიდან მხოლოდ ნაფოტებს ამოკრეფდა, რომელიც ნაინაღვრალ ხევზე მოპოებულ ნარყის არ ჩამოუვარდებოდა და სახელდახელო ცეცხლის გასაჩაღებლად საუკეთესო საწვავად ითვისებოდა.

შემდეგდა, როცა ბებია სახლს მიაშურებდა, რუზე ხელ-პირის დასადგრებდ ქვივლ-ხივილით ჩამოცვნილ უზნის გოგო-ბიჭებს საუცხოო ნიჭითი ხვდებოდათ. ხილით თავმოპმული და ყვავილებით მოქარვული ხაპალი გუბურში ნაყოფით ირწყოდა.

წყალი წყალი იყო და თავის რიგზე ახალისებდა გოგო-ბიჭებს, მაგრამ უზნოზე ცივი ხილიც მისწრება იყო და განსაკუთრებით ეგემრელებოდათ მათ.





ქატო

ახალაბიზინებულ მთის ფერდობზე, რომელიც ბანივით თავს ზემოთ ადგა მწვანეში ჩაფლულ ნამცეცა და ლამაზ სიფელს, ათიოდე წლის ლურჯ-ხალათა და ლურჯუთვალემა ბიჭი ათიოდე ცხვარს მწყემსავდა. ცხვრებს, რა თქმა უნდა, ვაცი მეთაურობდა. წვერცანცარა კი ანაზღად შეეშვა მშვენიერ საბალახოს და ზემოთ ძეჟანარისაკენ გაეშურა. ბრიყვი ცხვრებიც სწორედ ცხვრებივით უყოყმანოდ და მორჩილად უმაღლ მას კვალში ჩაუდგნენ.

ბიჭი მწვანეზე იჯდა, მუხლებზე წივნი გადაეშალა და მთელი გულის-ყურით მას ჩასჩერებოდა. როცა მან თანება თხის ოინი შეინშნა, ცხვრებს უკვე ბლუჯა-ბლუჯა მატყლი შეეტიოვეინათ გაფარჩხულ ძეჟებზე. ბიჭი დაფეთებული წამოხტა. ვაცს მუქარით დაუტატანა, მაგრამ პატარა მწყემსის ყოცინა მან აინუნშიც არ ჩააგდო; დინჯად და უდრტივეეულად ძეჟანარის სიღრმეში მიიწვედა და მაიმიტ ცხვრებსაც კვალად მიიყოლებდა.

ახილით რომ ვერაფერი გააწყო,

ბიჭმა მარჯვედ გზა უყელა ვაცს და გაგულსინებულმა შუბლსა და რქებში მოკლე კომბალი გამეტებით დაუშინა. ვაცი ადგილზე გაიტოქა და ბიჭს წინააღმდეგობის გაწევა არ შეჰკადრა. ხოლო, როცა ბიჭი თვითონ დაცხრა, შეინშნა: დამანაშეედ და მორჩილად შეეჩერებინა პირუტყვს მისთვის თავისი წყლიანი თვალები და ტკივილსაც არ იმჩნევდა. ამ უწყინარმა, შეუდავებელმა მზერამ საკუთარი ლამაზი ლურჯი თვალები უკვებ წამოხეთქილი ცრემლებით დაუბინდა ბიჭს და სლუკუნისც ამოაშვეინა.

ვაცმა, თავისი სახსლოვით მებტანჯვა რომ არ მიეყენებინა ცოდვის-მომზანინებელი ბიჭისათვის, ახლადა გააჩრდა მას თავი და მორჩილი ცხვრებიც კვლავ უეკალბარად, წმინდა საბალახოზე გაიყვანა.

ბიჭმა კი ხელში შერჩენილი უდანაშაულო სათავისო მოკლე კომბალი, რომელიც წელან კინაღამ ვაცს შუბლსა და რქებზე გადააალებუა, ახლა თვითონ მუხლზე გადაიმტვირა და მისი ნარჩენები ცალ-ცალად სხვადასხვა მხარეს ზიზღით გადაყარა, მაგრამ მაინც ვერ დაშოშმინდა. არეული

ნაბიჯით მიადწია იგივე ადგილს, სადაც ადრე იჯდა, და მწვანეზე მოკვეთით დაენარცხა, თვალებში კვლავ ცრემლები აწვეებოდა და გულდათუთქელმა თავი მუხლებში ჩარგო და ჩამალა.

ბინდი ამ მდგომარეობაში წამოეპარა პატარა მწყემსს. ერთბაშად თავის ირგვლივ საბატო მდუმარება იგრძნო მან. თავი ნელა ასწია ზემოთ და, შორიახლოს მდებარე თითქმის სრულიად უძრავად გარინდებული, ერთად შეჯგუფული თავისი მცირე ფარა შეინშნა, რომელსაც თავში, თითქოს საბრძოლო ბრძანების მოლოდინში გატკეპებული, მისი მუდმივი მეწინავე და წინამძღოლი დარბაისელი ვაცი ედგა.

იღაც ვაცი და თითქოს აუწყებდა მათს ნაცრემლე მეუფეს: ამაღა მოგვეკარე, ბატონო ჩემო, და შენს ბრძანებას ველოთ!

პატარა მწყემსმა არაფერი ბრძანა, წამოდგა კი წივნილილიავებული და გულშეგრული და ამაღაც მის ფეხდაფეხ მდებარე დაიძრა სოფლისაკენ.

მატყარი ლ. ზარაფიშვილი.



ქართული ენათა

ნოდარ გურაბანიძე

იმ მაღალგანვითარებულ, კულტურულ ერებს შორის, რომლებმაც საკუთარი თეატრალური კულტურა და სანახაობა შექმნეს, ქართველი ვერ ერთი პირველთაგანია.

ჩვენმა წინაპრებმა შეიმუშავეს სანახაობის და გართობის მრავალი სხვა

ფორმაც, რომლებიც უხვად შეიცავდნენ თეატრალურ ელემენტებს. სანახაობათა მთელ კომპლექსს, რომელიც შეიცავს ცეკვას, პანტომიმას, ჯამბაზობას, თოჯინების ტარებას, მუსიკალურ ნომრებს, ამ მისი თანხლებით შესრულებულ რაიმე მიქმედებას — აღნიშნავენ ერთი ტერმინით — სახიობა, — რომლის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ცნება საკუთრივ თეატრისა. მაგრამ, შეიძლება ყველა ეს ფორმა არსებობდეს და არ იყოს თეატრი. თეატრი არის სინთეზი არა მხოლოდ სახიობაში ნაგულისხმევი სხვადასხვა ფორმისა, არამედ ლიტერატურისა და არქიტექტურისაც.

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება არა მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურული დრამის ნიმუში, არამედ უბრალოდ, პირდაპირი ცნობაც ეს ასეთი რამის არსებობის შესახებ. მაგრამ თანამედროვე მეცნიერება, რომელიც თეატრს სწავლობს (თეატრმცოდნეობა) ეყრდნობა არა მხოლოდ კიბოთეზებს, არამედ სხვადასხვა მოვლენის (ლიტერატურის, სასცენო ხელოვნებისა თუ არქიტექტურული ნიმუშების) ანალიზს და ზოგჯერ არაპირდაპირ ცნობებსაც კი.

ძველი ბერძენი ისტორიკოსები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე მდებარე ქართველურ ტომებს იცნობდნენ, ფრთხილ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან საქართველოს შესახებ. ევროძოდ, თემისტოქოსის, ლიბანიოსისა და პროკოფი კესარიელის ცნობები მიგვახიზნებენ თეატრალური კულტურისა და თეატრალურ ნაგებობათა არსებობის შესახებ. ისინი აღნიშნავენ ქართველურ ტომთა

სიმღერების კანგათა თავისებურებას; მათსა და მოსინიკების ქოროსს და ჭრბნული ქოროსს (რომელიც ანტიკური ტრაგედიის, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ტრაგედიების განუყოფელი ნაწილია) შორის მრავალ მსგავსებას პოულობენ.


ზნობრივლად არგუმენტი თეატრალური კულტურის არსებობისა — გასულაღუ ტერმინი, ცნებაა. თუ არ არსებობს რაიმე საგანი ან მოვლენა, ცხადია, მისი აღმნიშვნელი ტერმინი, ცნებაც არ იქნება. ქართველურ ენებში ჭანურმა შემოგვიანა ძველბერძნული თეატრალური ტერმინები: ფერხნული — ოტრადოდუ. განსაკუთრებით საინტერესოა ტერმინი — სილოდა.

პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი ადასტურებს, რომ ტერმინი სილოდას პალესადმი ეპისტლეს ძველ ქართულ თარგმანში შეესატყვისება ძველბერძნული „კომოსი“, რაც ნიშნავს სადღესასწაულო



მინიატურაში

შულსისიის თეატრის მაკაბი



პროცესიებს, სანახაობრივ ქმედობას დიონისეს სადიდებლად. სოლო, როგორც ვიცით (იხ. ჟურნალი „პიონერი“ № 5, 1965 წ.), დიონისეს სადიდებელი სიმღერებიდან წარმოიშვა ბერძნული ტრაგედია და, კომოსი გახდა მისი კომპოზიციის, არქიტექტონიკის აუცილებელი ნაწილი.

არქიტექტურულ ძეგლთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იბერიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში — უფლსისციხეში — არსებულ იმ კომპლექსს, რომელიც კლდეშია გამოკვეთილი. სხვა ნაგებობებთან ერთად, ის აშფოთეატრული ტიპის ნაგებობასაც შეიცავს. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ სხვადასხვა გეგმაზე, მინიატურაზე, თასზე

გამოსახულ ნიღბებს, სხვადასხვა საფერხული წყობა, მაშინ სურათი რამდენადმე შეივსება და ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა წარმოვიდგინოთ ძველი ქართული, ანტიკური ხანის თეატრი.

მართალია, ქრისტიანული კულტურა ებრძოდა წარმატულ კულტურას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ყველაფერს უარყოფდა და ანადგურებდა. ეს კმება თეატრალურ კულტურასაც. ძველ ქართულ ხელნაწერებში აღმოჩენილი დრამატული პოეზიის ნიმუშები, თეატრალური ტერმინების ხანგამძლეობა, სასულიერო მწერლობაში დადასტურებული მაღალმხატვრული დიალოგური ფორმა, აგრეთვე ორიგინალური საეკლესიო დიალოგური ჰიმნები გვარწმუნებს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის შემდეგ ინტენსიურად წარმოებდა ანტიკური ხანის თეატრალური მემკვიდრეობის ათვისება-გამოყენება. საქართველოში — ისევე, როგორც ბიზანტიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში განვითარდა ლიტურგიული დრამა — ბიბლიისა და სასარების ტრესტების დრამატისაგია.

ამის პარალელურად საქართველოში ვითარდებოდა ე. წ. ხალხური დრამა, რომელიც ყველაზე ნათლად გვიჩვენებს ხალხის თეატრალური აზროვნების მაღალ დონეს. ხალხური დრამის კომპოზიცია, კონფლიქტის განვითარება, მისი წყობა, წარმართული და ქრისტიანული ელემენტების ბუნებრივი და ორიგინალური შერწყმა გვარწმუნებს, რომ იგი შედგება ხალხის წიაღში მიმდინარე დრმა შემოქმედებითი პროცესისა. იგი გვიჩვენებს არა მარტო ხალხის გენიას დრამატული მოქმედების (პოეზიის ან უმაღლესი საფეხურის) შექმნის სფეროში, არამედ მის მაღალ კულტურასაც, რომელმაც შეიწოვა ქართული და ბერძნული ლიტერატურული თეატრების გამოცდილება.

ხალხურმა დრამამ დაავივრგინა სა-



ლალო გულიაშვილი

„ბარიბაზა ბოქაული მიხაბაძის“

ფერხული წყობის მისტიციების (აქ ყველაზე საინტერესოა „ამირანის ფერხული“) გზა და საბოლოოდ ისეთ მაღალგანვითარებულ ფორმაში გადავიდა, როგორცაა ხალხური ნიღბების თეატრი — ე. წ. ბერძნული თეატრი.

ბერიკების თეატრს უწოდებენ აგრეთვე იმპროვიზაციულ თეატრს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნიღბისანი მსახიობები (ე. ო. ბერიკები) თამაშობდნენ, წარმოადგენდნენ არა წინასწარ დამუშავებულ, დიალოგურად გახართულ პიესას, არამედ რაიმე სიუჟეტს. ამ მსახიობებმა იცოდნენ მხოლოდ მოქმედების განვითარების ძირითადი ხაზი, ანუ ამბის ჩონჩხი, ხოლო ტექსტს თვითონვე იქვე თხზავდნენ. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებაში ეს ტექსტი იცვლებოდა, ხოლო უცვლელი რჩებოდა ძირითადი ხაზი მოქმედებისა. ეს მსა-

ხიბო-ბერიკისაგან მოითხოვდა გონებრივ სიმკვირცხლეს, მოქმედების გამაფრებლის ნიჭს, მტკიცეობისადაღმი შეიკვებასა და ალღის აღებას.

ბერიკების თეატრი გულისხმობს მაყურებლის აქტიურ ჩარევასაც; ხშირად ბერიკა მაყურებელს მიმართავდა, ხოლო მაყურებელი, თავის მხრივ, რაიმეს ჩაუტარავდა ხოლმე ტექსტში. იმართებოდა ცოცხალი და საინტერესო დიალოგი მსახიობსა და მაყურებელს შორის, ხშირად კამათიც ცხოვრების მტკიცეულ საკითხებზე. ბერიკების თეატრის რეპერტუარში მრავალი სიუჟეტი იყო და ამის შესაბამისად — მრავალი ნიღბიიც. სამწუხაროდ, ბერიკების თეატრი სხვადასხვა ისტორიული პირობების გამო კვლავ განვითარდა და ვერ გადაიხარდა პროფესიულ თეატრში ისე, როგორც ეს მოხდა, ვთქვათ, იტალიაში, სადაც ამგვარი სახის თეატრმა — კომედია დელ არტემ — შექმნა მსოფლიო ხელოვნობის თეატრი, მსახიობები და დრამატურგები (მაგ. სახელგანთქმული კარლო გოტი და, ნაწილობრივ, გოლდონიცი კი). ჩვენი დიდი რეჟისორები კოტე მარჯანიშვილი და სანდრო აბნეტელი ღრმად იყვნენ დაინტერესებულნი ბერიკების თეატრის პრინციპებით და გულისტკივლი გამოსთქვამდნენ, რომ ამ თეატრმა ვერ მისაწორო შეიძლება შესვლა, განმტკიცება და განვითარება. თუ თქვენ, ჩემო მკითხველებო, გინახავთ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლები — ლევან გოთუას





„სამსახეობა რაინდისა“ და პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბრის ხმალი“, მანში დარწმუნდებით თუ რა საინტერესო და ცხოველმყოფელია ქართული ნიდებრის თეატრი. (ბერიკების ერთი სცენა, სხვათა შორის, გამოყენა აგრეთვე კინორეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ ფილმში „მაია წყნეთელი“).

ბახის ნილაპი.

მოიყენა აგრეთვე კინორეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ ფილმში „მაია წყნეთელი“).

გვიან, ფოტოალიზმის ხანაში, ვითარდება სახიობა, როგორც სამეფო სასახლის კარზე, ისევე მასობრივი, გარეთ, მოედრებულზე.

სასახლის კარზე მიგრე ფორმის დრამატული ნაწარმოებები სრულდებოდა — მანტოშიმა, ქებანი, ბასრობა (სატირული ხასიათის სცენა-დილოვები), სიმღერა-დილოდათა (სიღრმა ნიშნავა გამოთბობ, უწმინაურ სატრფიალო სცენებს).

ამგვარი სახიობაში უმთავრესად გამოხატული იყო სხვადასხვა მითოლოგიური თუ ალეგორიული სიუჟეტები (მაგ. პანტომიმა „ოქროს ვაშლი“, „ორფეუსი“, „სირინოზი“).

უფრო ვრცელი ასპარეზი, ცხადია, ხახობურ სახიობებს ჰქონდათ, რომელთა შორის თავისი განადიოზულობით, თეატრალურობით, სიმახვილით გამოირჩეოდა ყველაზე, რომელიც თითქმის ჩვენს საუკუნემდე მოაღწია. ამ სანახაობა-კარნავალის ძირი ძალიან ღრმად მიდის (თუმცა სახელწოდება შედარებით „ახალია“), იგი მოიცავს როგორც წარმართულ, ასევე ქრისტიანულ ეპოქებსაც.

დროთა განმავლობაში ცვლებოდა მისი შინაარსი, მერსონაჟები, გამიზნულობა, მაგრამ უცვლელი იყო მისი თეატრალიზებული ბუნება, მასობრივობა, სატირული მიმართება.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ბერიკები, აგრეთვე სხვადასხვა თეატრალურ-სანახაობრივი ჟანრის წარმომადგენლები სოფლიდან სოფლად, ქალაქიდან ქალაქად მოგზაურობდნენ, ხშირად მესობელთა თუ მორეულ ქვეყნებშიაც კი გადიოდნენ და თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ უცხოელებს. თავის მხრივ, საქართველოს კარი ყოველთვის დია იყო ბრუნავილიან, ეგვიპტიდან, ირანიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან, სოლო შედარებით უფრო გვიან, რუსეთიდან ჩამოსული ისტატისტისათვის. ისინი, როგორც წესი, თან ახლდნენ დიდ სავაჭრო ქარავნებს თუ ფრიად პატივსაცემ სტუმრებს და გამოდიოდნენ მეფის სასახლეში ნაძილობისას, იმდროინებზე თუ სპეციალურ შერბობაში — „სახლსა სათამაშოსა შინა“, ხშირად მოედნებზეც. სხვათა შორის, სანახაობრივი დაწესებულებანი უფა საუკუნეებში საქაიოდ მრავლად აშენდა საქართველოს ტერიტორიაზე. გარდა „სახლი სათამაშოსა“, იყო „ვიწლეთი დარბაზი“, „სახლი-სალხინი“, იმდროინებში და საცირკო მართობები.

ქართული მწერლობა თუ ადრე მხოლოდ სხვადასხვა სათეატრო აღკაზნულობისა და სანახაობების აღწერით გამოყოფილებოდა, ახლა (XVII-XVIII ს. ს.) მჭარველობის უწყვედა სახიობის და ხშირად მონახილობა კიდევ მის წარმომადგენლებში (სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი, დავით გურამიშვილი, მ. ბარათაშვილი და სხვ.).

XVIII საუკუნის მნიშვნელოვანი მონა-

პოვარია ე. წ. „სასკოლო დრამა“, რეპრეზენტაციისა და განვითარება იტალიისა და თელავში არსებულ ფილოსოფიურ სემინარიებში, და გიორგი ავალიშვილის თეატრი, რომელიც უკვე ითვალისწინებდა რუსული და ევროპული თეატრების უკანასკნელ მიღწევებს, ეყრდნობოდა ლიტერატურულ დრამას და ჰქონდა ნამდვილი პროფესიული საფუძველი. ამ ახალი თეატრის სათავეს ბანი დგას მაჩაბლის მეთაურობით არსებული დასი. უპეველია, ეს დასი დიდ წვლილს შეიტანდა ქართული პროფესიული თეატრის საფუძვლის მომზადებასა და განვითარებაში, ასე ტრადიციულად რომ არ წარმართულიყო მისი ბედი.

მაჩაბელი, როგორც ნამდვილი პატრიოტი, წინ წარუქვდა თავის დასს და ზურუნისა და დაფის ცემით, მხნე ყიფილია და სიმღერით, ქართულ მხედრებთან ერთად, ეგვეთა აღ-მამად-ხანის ლაშქარს. ამ ბრძოლაში დაეცა დასის უკლებლივ ყველა წევრი. ქართული თეატრის ისტორიაში სანატრესო ფურცელი ჩასუბრა ერეკლე მეფის კარის თეატრმა გაბრიელ მაიორის ხელმძღვანელობით. მას, ისევე, როგორც გ. ავალიშვილს, განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული და კარგად იცოდა თეატრალური ხელოვნება. შემოსახულია ბილეთი-ნი წარწერით —

„გაბრიელ მაიორი
შაური ორი“

ორიგინალური ქართული პიესების უკონლობის გამო ამ თეატრს დიდხანს არ უარსებია.

...ახლოვდება მე-19 საუკუნე, რომელმაც ახალი ნაკადი შეიტანა ხელოვნებისა და კულტურის ყველა დარგში...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ი. მამბეში: შვილები თავიანთ მშობლებში ხედავენ წარსულს. მშობლები კი — თავიანთ შვილებში ხედავენ მომავალს: და თუ მშობლებში ვხედავთ უფრო მეტ სიყვარულს შვილებისადმი, ვიდრე შვილებში მშობლებისადმი სიყვარულს, ეს სამწუხაროა, მაგრამ ამავე დროს ბუნებრივია. ეს არ უფერს უფრო მეტად თავისი მიმდები, ვიდრე თავისი მოგონებები.

მ. ბორაკი: შვილებმა მამებზე უფრო მეტიც უნდა იცოდნენ და უფრო ღრმადაც.

ი. სმერდლოვი: ახალგაზრდობა — ჩვენი ერთგული თანამშემუა

ბ. შვირსანი: ახალგაზრდობა მუდამ იბრძოდებს ყოველმე



ქარის ყველა სახელი ქარის თვისებზე მიგვანიშნებს. სახელში ჩანს ქარის მიმართულება, ძალა, ტემპერატურა, ქროლოვის ხანგრძლიობა, საერთოდ ის, რაც უფრო მეტადაა მისთვის დამახასიათებელი.

მისტრალი, — საფრანგეთში, მდინარე რონის ხეობასა და ზემოთაშუა ზღვის სანაპიროზე ჰქრის. სახელწოდება წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან „მავისტრალის“, რაც „მთავარს“ ნიშნავს. სამხრეთ საფრანგეთის ქარებიდან ის მართლაც მთავარია, — ზოგჯერ ისეთი ძალით ჰქრის, მატარებელსაც აბრუნებს.

ვარშისილი, — ცხელი და შშრალი ქარია, ავღანეთსა და შუა აზიის სამხრეთ ნაწილში მთებიდან ჰქრის. მისი სახელი შედგება ორი სიტყვიდან: სპარსული „ვარმ“ — ცხელი, და, არაბული „სილი“ — ნაკადი, — ე. ი. ვარშისილი, — ცხელი ნაკადი.

ბორა, — ჩრდილოეთის ცივი ქარია, იგი ხმელეთიდან ზღვისკენ ჰქრის. ბორა ცნობილია ნოვოროსისკისა და აღრიატიკის ზღვის სანა-

პიროზე. „ბორეი“ ბერძნულად ჩრდილოეთის ქარს ნიშნავს. ძველი ბერძენები მას ფროსისანი, მკაცრი მოზუცი მამაკაცის სახით გამოხატავდნენ.

ცივ ქარს სამეგრელოსა და იმერეთში დღესაც ბორიოს უწოდებენ. (აღსანიშნავია, რომ ზემო იმერეთში „ბორიოს“ ვადატანიითი შინაშენლობით უხსნათაო, ცივ ადამიანს ეძიხიან). „ბორიოს“ ცხელი სახოკია ასე გამწარტავს:

